[(19.I) წმ. ღირსი ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი, VIს]

სოფ 2,3; 3,12-13; ფს 145; 1კორ 1,26-31; მთ 5,1-12

"მთაზე" საუბრობს ღმერთი. იესომ უსმინა მას და გვამცნობს მის სიტყვას: "ნეტარნი". ახლა ვიცით, რომ მამას მივაჩნივართ და სურს, რომ ვიყოთ "ნეტარნი": სრულად მის გულში მყოფნი. ნეტარნი არიან მშვიდნი, მოტირალნი, გულმოწყალენი, სუფთა გული-სანი, მშვიდობის მოქმედნი, სიმართლისთვის დევნილნი, ღარიბნი, ისინი, ვისაც მხოლოდ მამა ჰყავთ იმედად!

2 ორშაბათი 2026

თებერვალი

უფლის ტაძრად წარდგენა
(მირქმა), დ, [ს], თ

მალ 3,1-4 ან ებრ 2,14-18; ფს 23; ლკ 2,22-40

ბერ–მონაზონთა დღე

ისინულ ჩემმა თვალმა შენი სსნა ლკ 2,30

დღევანდელ დღესასწაულს ჰქვია მირქმა, ანუ ღმერთის შეხვედრა თავის ერთან. სიმეონი, ამ ხალხის ერთგული წევრი, ხვდება იესოს და გრძნობს რომ მიზანს მიაღწია, თუნდაც მხოლოდ ბავშვი ეჭიროს ხელთ; შედის მშვიდობაში და ღმერთს მადლობს: "თვალთა ჩემთა იხილეს შენი ხსნა". შეხვდე და გაიცნო იესო, აი, მიზანი და სიცოცხცლის სისრულე ყოველი ადამიანისათვის.

3 თებერვალი

სამშაბათი 2026

რიგითი IV კვირა [IV] მწ

წმ. ბლაზი, სებასტეს ეპისკოპოსი, წამებული +~316ს.;
წმ. ანსგარი (ოსკარი), ჰამბურგის ეპისკოპოსი +865.

2მეფ 18,9-10,14ბ,21ა,24-25ა,30-32; 19,1-3; ფს 85; მარ 5,21-43

ასულო, შენმა რწმენამ გიხსნა შენ მარ 5,34

ქალი, რომელიც თორმეტი წლის განმავლობაში ავად იყო, სრული ნდობით უახლოვდება იესოს, შეეხება მის სამოსელს, დარწმუნებული, რომ მხოლოდ ამით განიკურნებოდა. იესო ამჩნევს და ეხმარება მას საჯაროდ გამოავლინოს თავისი რწმენა. შემდეგ ეუბნება: "შენმა რწმენამ გიხსნა შენ". ამიერიდან იესო იქნება მისი საყრდენი, იგი, რომელიც უპირველეს ყოვლისა მისცემს მას ძალას, არ დაეცეს ცოდვაში.

4 თებერვალი

ოთხშაბათი
2026

რიგითი IV კვირა [IV] მწ

2მეფ 24,2,9-17; ფს 31; მარ 6,1-6

ეს რ სიბრძნე მეცა ძს? მარ 6,2

ეს არის ნაზარეველთა კითხვა, რომელნიც გაოცებულან "მათი" იესოს სიბრძნით. ეს არის იგივე სიბრძნე, რომელიც იღვრება მრავალი მოკრძალებული მღვდლისგან და მრავალი მორწმუნისგან, რომლებსაც უწევთ ხმის ამოღება განსხვავებულ შემთხვევებში. მათშიც, ვინც იცნობს და უყვარს ფარული მამა, საუბრობს სულიწმიდა.

5 თებერვალი

ხუთშაბათი

2026

რიგითი IV კვირა [IV]

წმ. აგათა, ქალწული და წამებული,
+251 კატანიაში (იტალია), (მ), წ

3მეფ 2,1-4,10-12; ფს, 1ნეშტ 29,10-12; მარ 6,7-13

ანძაური ტ კაცი იყავ 3მეფ 2,2

ამ სიტყვებზე ინსტინქტურად ადამიანს გაგონდება კუნთები და ტრაბახი, რაც ყოველთვის დაფასებული იყო და არის წუთისოფელში. დავითი, პირიქით, საუბრობს თავის ძე სოლომონთან სულ სხვა ძალაზე: იმაზე, რომელიც ეფუძნება ღმერთისადმი ნდობას და მორჩილებას. იგივე ნდობა და მორჩილება თან ახლავს თორმეტს, რომლებიც იესომ მიავლინა, და გააძლიერა ავი სულების წინააღმდეგაც.

6 პარასკევი 2026

თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმმ. პავლე მიკი და მეგობარნი, წამებულნი,
+1597 ნაგასაკიში (იაპონია), (მ), წ

ზირ 47,2-11; ფს 17; მარ 6,14-29

ქან ქთ-ულძთ ულეალს, ულიენაესს ზირ 47,5

ზირაქის წიგნის ავტორი შეგვახსენებს, რომ დავითმა, როდესაც ბიჭი იყო, შეძლო გოლიათის, გიგანტის, დამარცხება უფლის მოხმობით. მოუხმო ღმერთს არა როგორც "ბოლო საშუალებას", როცა სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავდა, არამედ როგორც "პირველ ნაბიჯს", ისეთი ნდობით, რომ სრულად გაეხსნა მის ნებას და საკუთარი სიცოცხლეზეც კი არ იზრუნა. მას იმედი არ გასცრუებია.

3მეფ 3,4-13; ფს 118; მარ 6,30-34

მოდით განმარტოებით მარ 6,31

იესომ მიავლინა თორმეტნი, მისთვის გზის გასამზადებლად. მათ მოახდინეს ნიშნები და საკვირველებანი, მისგან მიღებული ხელ-მწიფებით. დაბრუნებისას, აღფრთოვანებულნი, დაღლილნი იყვნენ. იესომ, მწყემსმა კეთილმა, შენიშნა ეს და წაიყვანა ისინი განმარტოებით თავისთან დასასვენებლად. გმადლობთ, იესო, რომ კვლავ გზავნი შენი სახელის საუწყებლად და საამისოდ ძალასა და სიხარულს იძლევი მუდამ შენთან განმა-რტოებით.

თებერვალი

რიგითი V კვირადღე, «ა», [I], მწ

[(26.I) წმ. დავით აღმაშენებელი, XI-XIIსს;
წმ. იერონიმე ემილიანი, +1537 სომასკაში (იტალია);
/ წმ. იოსებინა ბახიტა, ქალწული, სუდანელი მონა,
შემდგომ მონაზონი +1947 სკიოში (იტალია).]

ეს 58,7-10; ფს 111; 1კორ 2,1-5; მთ 5,13-16

თქვენ ხართ მარილი მიწისა მთ 5,13

ვინ არიან ის სოფლის "ცომში" დამალული და მიმობნეული მარილი? არიან "ნეტარნი", ანუ მშვიდნი და სუფთა გულისანი, გულმოწყალენი და მშვიდობის მოქმედნი, ღარიბნი, მამის გულში შთაფლულნი. მათი სიახლოვით, სიცოცხლე ამქვეყნად ლამაზია, სასიამოვნო, სიხარულით სავსე. ჩვენა ვართ იესოს სიხარული!

9 თებერვალი

ორშაბათი
2026

რიგითი V კვირა [I], მწ

3მეფ 8,1-7,9-13; ფს 131; მარ 6,53-56

დიაკ. ანტონ ხითაროვის გახსენება (+2022)

ხალხმა იცნო იგი მარ 6,54

იესო, მდაბალი და მშვიდი, "ყველაზე ლა-
მაზი კაცთა შორის", ხალხი მაშინვე ცნობს
მას. ვინც ეხებოდა მას, "დახსნილნი" იყვნენ,
პოვებდნენ გულში ჯერ არ განცდილ მშვიდო-
ბასა და სიხარულს!

10 სამშაბათი 2026

თებერვალი

რიგითი V კვირა [I]

წმ. სქოლასტიკა, ქალწული, მონაზონი, წმ. ბენედიქტეს და +~547 მონტეკასინოში (იტალია), (მ), თ

1მეფ 8,22-23,27-30; ფს 83; მარ 7,1-13

ძმანი ვედრება მონისა შერისა 3მეფ 8,30

მეფე სოლომონმა, დავითის ძემ, დაასრულა ტაძრის მშენებლობის სამუშაოები. გახსნის ზეიმის დროს ხალხის წინაშე ევედრება ღმერთს საკუთარი თავისა და ხალხისთვის: "შეისმინე ყველას ხმა, ვინც ილოცებს ამ სახლში", "შეისმინე და მიუტევე". გმადლობთ, მამავ, რომ ჩვენს ეკლესიაშიც ისმენ ლოცვას და მიუტევებ დანაშაულს მათ, ვინც შეგთხოვს.

11 თებერვალი

ოთხშაბათი
2026

რიგითი V კვირა [I], მწ

(29.I) წმ. ამოტ დიდი კურაპალატი, წამებული, +826;
ლურდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება), 1858

3მეფ 10,1-10; ფს 36; მარ 7,14-23

სნეულთა დღე

"უფალმა ტაყენა შენ მეფედ" 3მეფ 10,9

სამხრეთის დედოფლის ეს სიტყვა ნათქვამია სოლომონისადმი. იგი აღიარებს, რომ ღმერ-თმა დააყენა იგი ისრაელში მეფედ. თუ მეფეს უყვარს ღმერთი, მთელი ხალხი სარგებლობს ამით. ამიტომ წმიდა პავლე მოუწოდებს მმართველთათვის ლოცვისაკენ: მათ დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ, სულიერიც, თუმცა არ ფიქრობენ ამაზე.

12 ხუთშაბათი 2026

თებერვალი

რიგითი V კვირა [I], მწ

1მეფ 11,4-13; ფს 105; მარ 7,24-30

ჩემი, ავი სული განიტეხ ქალი ასულისგან მარ 7,29

დედა, რომელიც ევედრება იესოს თავისი ასულის გამოხსნისათვის, ავ სულს რომ ჰყავს შეპყრობილი, წარმართია. იესომ იცის, რომ უპირველეს ყოვლისა თავის ხალხთანაა მოვლენილი. როცა შეამჩნევს, მის სიყვარულს და მდაბალ რწმენას, აღიარებს, რომ იგი უკვე ზეციური სასუფევლის ნაწილია და აღარაა წარმართი: მზადაა მიიღოს ცხოვრება. ამიტომ შეისმენს მის ლოცვას: ავ სულს არ შეუძლია დარჩეს იმ სახლში, სადაც შემოდის თავმდაბალი რწმენა იესოსადმი!

13 თებერვალი

პარასკევი
2026

რიგითი V კვირა [I], მწ

1მეფ 11,29-32; 12,19; ფს 80; მარ 7,31-37

ამოიოხრა ღ ეუბნება მას: "ეფფათ" მარ 7,34

იესოსთან მიჰყავთ ყრუ-მუნჯი განსაკურ-
ნებლად. იგი წაიყვანს მას განმარტოებით,
თითებით დაუცობს ყურებს, ნერწყვით ეხება
ენას და, მამისკენ მიმართული, ამბობს:
"გაიღე!". და ადამიანი იკურნება. ეკლესია, სა-
იდუმლოების მეშვეობით, განაგრძობს ჩვენი
ყურების გახსნას, რათა ვისმინოთ სიტყვა და
ეხება ჩვენს პირს, რათა გადავცეთ ის სხვებს.

14 თებერვალი

შაბათი
2026

წმ. კირილე, ბერი +869 რომში და ძმა მისი
წმ. მეთოდი, მორავიის ეპისკოპოსი +895
ევროპის მფარველნი, დ, [ს] თ

საქმ 13,46-49; ფს 116; ლკ 10,1-9

თ'უ იქნება იქ მშვიდობის ძე... ლკ 10,6

"...თქვენი მშვიდობა დაივანებს მასთან". დღეს ორი მისიონერის დღესასწაულია, რომ-ლებსაც უნდა მივანდოთ მისიონერები, რომ-ლებიც ჩვენს შორის არიან ევროპაში. ერთ-ერთმა მათგანმა მოიწვია ახალგაზ-რდები ყოველკვირეულ ლოცვაზე, დარწმუ-ნებულმა, რომ იესო შინაგანად ჩამოაყალი-ბებდა მათ და აქცევდა თვისი მშვიდობის იარაღად. ზოგიერთმა იბეჯითა: მართლაც გახდნენ სიყვარულისა და სინათლის ცე-ცხლად მთელი სამრევლოსათვის.

ზირ 15,15-20; ფს 118; 1კორ 2,6-10; მთ 5,17-37

იყოს სიტყვა თქვენი: "ჰო, ჰო", "არა, არა" მთ 5,37

იესო განმარტავს ახალ "სამართლიანობას", თავისი მოწაფეების სამართლიანობას ზეციურ სასუფეველში. ეს შეეხება ცხოვრების ყველა ასპექტს ურთიერთობებში ღმერთთან და ადამიანებთან: ყოველთვის დაიწყება მისი სიყვარულით. ეს "სამართლიანობა" ასევე მოიცავს ლაპარაკს: ეს იქნება მარტივი, გულწრფელი, მოკლე, როგორც იმისა, ვინც იცის, რომ მამაც უსმენს მას.

16 ოთხშაბათი

ორშაბათი
2026

რიგითი VI კვირა [II], მწ

იაკ 1,1-11; ფს 118; მარ 8,11-13

თქვენი რწმენა, გამოცდილი, ჩარეთქმის მოთმინებას იაკ 1,3

მოციქული იაკობი მიმართავს ძმებს "დიასპორაში", ანუ გაფანტულებს წარმართებს შორის, იერუსალიმიდან შორს. გამხნევება, რომელიც მათ მიემართება, ჩვენთვისაცაა: რწმენის ყოველი გამოცდა, რომელსაც ვიტანთ ნდობით უფალში, გვამყარებს მოთმინებაში, და ეს გვაძლევს საშუალებას უფრო მეტად ვიცხოვროთ იესოსთან ერთად.

(4.II) წმ. ღირსი ევაგრე მღვიმელი VIს, მონაზონი; ნ. ქ. მარიამის მსახურთა ორდენის 7 დამფუძ-ნებელი

იაკ 1,12-18; ფს 93; მარ 8,14-21

მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)

რაგომ ლაპარაკობთ, რომ პური არა გაქვთ? მარ 8,17

რამდენი შეშფოთებული და იმედგაცრუებული საუბარი ისმის ჩვენს შეხვედრებზე! აღარ არის რწმენა, ცოტა ახალგაზრდაა, ცოტა ლიტურგიაა... მაგრამ იესო გვიმეორებს ამ კითხვას. როგორც მოწაფეებს ნავში ჰქონდათ "ერთი პური", ანუ იესო, ასევე ჩვენთან, აქ, ახლა, კვლავ არის იგი. იგია ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სიხარული, მხსნელი, რომელიც მოქმედებს დასაპურებლად და სახსნელად.

18 ოთხშაბათი 2026

თებერვალი

ნაცრის ოთხშაბათი, [ს], [IV], ი

იოელ 2,12-18; ფს 50; 2კორ 5,20-6,2; მთ 6,1-6,16-18

მძიმე მარხვის დღე

ილოცე შენი ძაძისაში, როგორც ბფარულია მთ 6,6

პასექისთვის მოსამზადებელი ამ პერიოდის დასაწყისში, იესო გვირჩევს, როგორ ვიცხოვროთ: სიყვარულით, მარხვით და ლოცვით! ყველაფერს გავაკეთებთ სიყვარულით მამისადმი, მის სადიდებლად, არა სხვის დასანახად. განვახლდებით და ჯილდოს მივიღებთ მისგან ახალი სიცოცხლით.

19 თებერვალი

ხუთშაბათი
2026

ხუთშაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

(ნ.II) წმ. ღირსი არსენ იყალთოელი +1127, მონაზონი

რჯლ 30,15-20; ფს 1; ლკ 9,22-25

ეე ძაძ, აირჩიე სიცო-ცხლე რჯლ 30,19

უფლის სახელით, მოსე განაგრძობს: "რათა იცოცხლო შენ და შენმა შთამომავლობამ, უფლის სიყვარულით, დაჰყვე მის ხმას და შეუერთდე მას". ვხედავთ, რომ ეს ასეა, ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში და ხალხების ცხოვრებაში. ეს მარხვა იქნება ჩვენთვის ძვირფასი შესაძლებლობა ძალისხმევისა და თანმიმდევრულობისთვის!

20 თებერვალი

პარასკევი
2026

ეს 58,1-9; ფს 50; მთ 9,14-15

ძმაო ერო, ამ ოთხშაბათ ჯერ უფალი გიპასუხებს ეს 58,9

წმინდა ლოცვის დრო, მარხვა! ჯერ კიდევ წინასწარმეტყველნი შეახსენებდნენ ერს, რომ უფალი შეისმენს იმის ლოცვას, ვინც ცხოვრობს მისი ცხოვრებით, სპეტაკი და მოქმედი სიყვარულით; ამასვე ომახიანად გაიმეორებს იესო. მისი ხმა კვლავ ისმის ეკლესიაში. ვიყო ყურადღებით მის სიყვარულში: უფალი მაშინ მიიღებს ჩემს ლოცვას და ამავსებს სულიწმიდით.

21 თებერვალი

შაბათი
2026

შაბათი ნაცრისყრის შემდეგ [IV], ი

წმ. პეტრე დამიანი, ოსტიის კარდინალ-ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი +1072

ეს 58,9-14; ფს 85; ლკ 5,27-32

ყოველთვის ჩაიძღვება უფალი ეს 58,11

ენდო უფალს, მნიშვნელობა მიანიჭო მის სიტყვას, დაუთმო სივრცე და კონკრეტულობა მის სიყვარულს – ამგვარად შევძლებთ დავინახოთ მისი მრავალგვარი ქმედება. თუ მე მივყვები მის სიყვარულს და ვცდილობ ვიცხოვრო მასში, უფალი თავად გამიძღვება და ჩემს გარშემო გაავრცელებს მშვიდობას, შვებას, სიმშვიდეს, რაც ყველას ასე გვწურია.

22 თებერვალი

კვირა
2026

დიდმარხვის I კვირადღე, «ა», [I], ი

[წმ. პეტრე მოციქულის საყდარი, დ, [ს], თ]

დაბ 2,7-9; 3,1-7; ფს 50; რომ 5,12-19; მთ 4,1-11

უფალსა ღმერთსა შენსა თაყვანი ეცა მთ 4,10

იესოს უყვარს მამა მთელი გულით და ამტკიცებს ამას ორმოცი დღის განმავლობაში უდაბნოში, თავმდაბალი მარხვით. სატანა, მაცდურმა, ვერ შეძლო მისი გადაბირება, რომ აღარ ყოფილიყო ძე. თავისი პასუხით იესო თითქოს ეუბნება სატანას: "თუ ღვთის ძე ვარ, იგი მეტყვის რაც უნდა ვქნა!". მივბაძოთ იესოს!

23 ოქტომბერი

ორშაბათი
2026

დიდმარხვის I კვირა [I] ი

წმ. პოლიკარპე, სმირნის ეპისკოპოსი და წამებული, +155

(10.II) წმ. ღირსი იოანე ჭიმჭიმელი VIს, მთარგმნელი

ლევ 19,1-2,11-18; ფს 18; მთ 25,31-46

მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება (+1938)

მოდით, ძეძახიეძის კურთხეულნო. მთ 25,34

რამდენად გვწადია, რომ იესომ, როდესაც დიდებაში დაბრუნდება, ასე მოგვიხმოს ჩვენც! ეს იქნება უსასრულო ნიჭი და ველოდებით მას ნდობით. წმ. პოლიკარპე, სმირნას ეკლესიის მამავ, ილოცე ჩვენთვის და თურქეთის ეკლესიისთვის, რომელიც ესოდენ ძვირფასია ჩვენთვის!

24 თებერვალი

სამშაბათი
2026

დიდმარხვის I კვირა [I] ი

ეს 55,10-11; ფს 33; მთ 6,7-15

ეეძაო ჩვენო მთ 6,9

გმადლობთ, იესო, რომ გვასწავლი მივმა-
რთოთ ღმერთს, როგორც შენს მამას და
ჩვენს მამას, მას, ვისაც უსმინე და ვისაც
დაჰყევი მუდამ. გმადლობთ, რომ გვასწავლე
აღვასრულოთ მისი ნება, როგორც შენ აღას-
რულე, სისხლის ოფლამდე და სიკვდილამდე.
გმადლობთ, რომ შეგვიძლია ღმერთს გიწო-
დოთ: "მამა" ჩვენი, ვისაც გვწამხარ. ამენ.

25 ოთხშაბათი 2026

თებერვალი

დიდმარხვის I კვირა [I] ი

(12.II) წმ. ღირსი პროხორე, იერუსალემის ჯვრის მონასტრის ამშენებელი, XIს

იონ 3,1-10; ფს 50; ლკ 11,29-32

აქ არის სოლომონზე დიდი ლკ 11,31

იესოს ხმაა, თავის ერს რომ საყვედურობს: იგი მხოლოდ სასწაულებს ეძებს და არ იღებს მას როგორც მესიას, მორჩილებას რომ იმსახურებს. იგი ისმენდა მის ბრძენ სიტყვას, დიდი მეფე სოლომონის სიტყვაზე ბევრად უმაღლესს... ჩვენ, იესოს ეკლესიას, გვეყოფა თავმდაბლობა, რათა გავფრთხილდეთ, რომ არა მხოლოდ გვერქვას, არამედ ვიყოთ კი-დეც ქრისტიანები, ქრისტესადმი სიყვარულით სავსე მორჩილებით.

26 თებერვალი

ხუთშაბათი
2026

დიდმარხვის I კვირა [I] ი

ესთ 14,17 n.p-r.aa-bb.gg-hh; ფს 137; მთ 7,7-12

ითხოვეთ და მოგეცემათ მთ 7,7

ვითხოვთ და არ ვღებულობთ? ნურაფრისა შეგვეშინდება! მამა კმაყოფილია, რომ ჩვენ განვაგრძობთ მისკენ მიმართვას, რადგან, სხვაგვარად, არ გვექნებოდა სიცოცხლე... და ყოველთვის გვპასუხობს, შესაძლოა არა ისე, როგორც ჩვენ ვისურვებდით, მაგრამ ყოველთვის გვანიჭებს სულიწმიდას, რომელიც ბევრად აღემატება ჩვენს სურვილებს.

წმ. გრიგოლ ნარეკელი,
აბატი და ეკლესიის მოძღვარი + 1005

ეზეკ 18,21-28; ფს 129; მთ 5,20-26



მთ 5,22

ეს არის იესოს მიერ გამოცხადებული სამართლიანობა: ახალი, იმ სამართლიანობასთან შედარებით, როგორც ფარისევლებს ესმოდათ და ასრულებდნენ. რამდენ ხანს ვიღვწოდი სამართლიანობის ძიებაში მცნებათა უნაყოფო შესრულებით და ვერასდროს ვპოულობდი! გამომაფხიზლა იესომ: თუ ვბრაზდები ძმაზე, არ მიყვარს ჩემი უფალი. მასთან დასაბრუნებლად და "მართალი" ცხოვრებისათვის, მოვინანიებ და გულით ვითხოვ მიტევებას.

28 თებერვალი

შაბათი
2026

დიდმარხვის I კვირა [I] ი

რჯლ 26,16-19; ფს 118; მთ 5,43-48

„ერ იქენ ბი სალსი ძიძოვნილი „ეფალსაძი,
ერ ლ ძოთისაძი რჯლ 26,19

რაოდენი სიხარულია ჩვენთვის, ქრისტიანებისთვის მის ეკლესიად ყოფნა! დავანებებთ, რომ ჩვენში იცხოვროს წმიდა სულმა, რომელიც იესომ მოგვანიჭა ნათლისღებაში. ვიქნებით მოწმობად მისთვის, მზად რომ არიან მისი სიტყვის მოსასმენად, შესასრულებლად და გადასაცემად, ყველაფრის მისატოვებლად მის კვალში სასიარულოდ.